16/03/2026

MES 6 26 0000315806

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.02.2026
სხდომის დაწყების დრო:14:00
სხდომის დასრულების დრო: 15:16
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე**- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ვაჟა კელიხაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **ქეთევან აფთარაშვილი**- შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
4. **დავით კაპანაძე**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
5. **ბონდო გასვიანი** -შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **თეა მჭედლური**- შპს „უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
7. **მზია წიკლაური**- შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

8. **ნარგული ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
9. **ქეთევან ნანობაშვილი**- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
10. **ციურიდურული**- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
11. **ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი.
13. **ქრისტინე ახალაძე**- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
14. **ელიზბარ ელიზბარაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

- თეონა მაისურაძე - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

- დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
- დავით ნატროშვილი - კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
- ქეთევან გრძელიძე - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- ეკა ლეკაშვილი
- დავით სიხარულიძე
- რევაზ ტაბატაძე
- ნინო ჯოჯუა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ,,ბიზნეს ანალიტიკის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს სეუ-ს „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. პს კავკასიის უნივერსიტეტის “ინგლისური ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **კი**

ცენტრის წარმომადგენელმა, შუამდგომლობა გააცნო საბჭოს წევრებს, რომელიც ეხებოდა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის “ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №1848916, 23/12/2025 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ,,ბიზნეს ანალიტიკის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს სეუ-ს „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. პს კავკასიის უნივერსიტეტის “ინგლისური ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის “ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №1848916, 23/12/2025 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:**
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ,,ბიზნეს ანალიტიკის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: ბიზნეს ანალიტიკა
სფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია:ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლებისენა: ინგლისური

კ რ ე დ ი ტ ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა: 1 2 0
სტატუსი: აკრედიტებული, №1018940, 27.08.2024 გადაწყვეტილება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ბონდო გასვიანმა.
თვითაცულების საფუძველი შრომითი ხელშკრულება აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ყველა რეკომენდაცია აქვს შესრულებული, გარდა ერთისა. ეს არის რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა 1.3 ქვესტანდარტს, სადაც რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმის რუკა პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრული განვითარების ასახვის უზრუნველსაყოფად. პროგრამის კურიკულუმის შედგენა ხდება 2 ძირითადი პრინციპით: წინაპირობების განსაზღვრისა და სწავლის შედეგების გაწერა გაცნობა/გაღრმავება/განმტკიცების პრინციპი. ეს მექანიზმი უნივერსიტეტში მუშაობს, თუმცა არის შემთხვევები, სადაც პროგრამის გარკვეული შედეგები ჯერ ახდენს გაცნობის დონის მიღწევას, შემდეგ განმტკიცების და ბოლოს გაღრმავების, ან ხდება ის, რომ განმტკიცება და გაღრმავება პარალელურად ხდება, რაც თანმიმდევრულობას ვერ უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამუშავებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ანგარიშის გაგზავნის შემდეგ დაწესებულებაში იდენტიფიცირებული იქნა ორი კონკრეტული კურსი, რომელიც არღვევდა დასკვნაში მითითებულ რუქაზე არსებულ ლოგიკურ თანმიმდევრულობას, რის შემდეგაც სემესტრის დასრულების საფუძველზე განხორციელდა ამ ორი კურსის ისეთი ჩანაცვლება, რომ არ დარღვეულიყო გაცნობა/განმტკიცება/გაღრმავების ეტაპობრივი ლოგიკა. აღნიშნული ორი კურსია „ბიზნესის პროცესები“ და „სტრატეგია“, რომელთა სემესტრებიც გადანაწილდა. მიმდინარე სემესტრი დაგეგმილია განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ანგარიშის ცენტრში წარდგენის პროცესში რატომ არ მოხდა ამ ხარვეზის იდენტიფიცირება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ანგარიშის გაგზავნის დროს იყო მიმდინარე სემესტრი და აღნიშნული კურსები მიმდინარეობდა აქტიურად. დაწესებულებაში

პროცედურის თანახმადაც სემესტრის ბოლოს ლექტორის თვითშეფასების შედეგად განიხილება ცვლილებები, სწორედ ამ პროცესში მოხდა ხარვეზის იდენტიფიცირება. კურიკულუმის რუქაში ცვლილებები მრჩეველთა საბჭოზეც გაიტანა ინსტიტუციამ, მიიღეს გადაწყვეტილება და მომდევნო სემერტის სასწავლო გეგმაში უკვე ასახულია ეს ცვლილება.
ზეპირ მოსმენაზე მიღებული ინფორმაციისა და მსჯელობის შედეგეად, საბჭოზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს, რომ 1.3 კომპონენთან მიმართებით არსებული რეკომენდაციას შესრულებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:24
დასრულების დრო: 14:27

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ,,ბიზნეს ანალიტიკის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ,,ბიზნეს ანალიტიკის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

2. მეორე საკითხი:
შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს სეუ-ს „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA)
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 60
სტატუსი: აკრედიტებული; გადაწყვეტილება №1446270, 11/11/2024; გადაწყვეტილებაში ცვლილება №857288, 04/07/2025.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ბონდო გასვიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულება საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ შეფასება განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. მთლიანობაში გაცემული იყო 5 რეკომენდაცია. რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა შემდეგ საკითხებს: მარკეტინგისა და ფინანსების დამატებას; პროგრამის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების ბლოკებში ლიტერატურის განახლებას, რაც განხორციელდა; ფინანსების სტატისტიკისა და პროგნოზირების დამატებას სასწავლო კურსებში ან ახალი სასწავლო კურსის ფარგლებში, რაც განახორციელა დაწესებულებამ; ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტთა პიროვნული პროგრესიის თვალყურის დევნებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შესრულებული სამუშაოსათვის და განაცხადა, რომ დამატებითი მოსაზრებები ექსპერტის მიერ გაჟღერებულ საკითხთან დაკავშირებით არ აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ, შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ გამოცხადა სათათბირო შესვენება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:37
დასრულების დრო: 14:39
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს სეუ-ს „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს სეუ-ს „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი:
პს კავკასიის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენა);

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა მაქსიმ იავიჩმა. თვითაცილების საფუძველია შრომითი ხელშეკრულება აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულს ენიჭებოდა ფილოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაცია და განხორციელებული ცვლილების საფუძველზე უნივერსიტეტმა წარადგინა მოთხოვნა, რომ კურსდამთავრებულს მიენიჭოს ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხი. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია აღნიშნული კურსის სტუდენტს მისანიჭებელ კვალიფიკაციად განესაზღვროს ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი. ექსპერტთა პანელმა პროგრამის განვითარების მიზნით გასცა 4 რეკომენდაცია და 2 რჩევა. ისინი წარმოადგენენ პროგრამის განვითარების ერთგვარ გეგმას და არ აკნინებენ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ხარისხს. რაც შეეხება რეკომენდაციებს, მან განმარტა, რომ:

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების #3 და #4 უფრო მკაფიოდ და ლაკონურად ჩამოყალიბება; კერძოდ მათში რეალიზებული შედეგების განსხვავებული სპეციფიკის გათვალისწინება და განმეორებითი ფრაზების ამოღება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის უფრო ზუსტ გაზომვას.
2. რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორების დახვეწა და მათი თითოეულ შედეგთან ზედმიწევნით შესაბამისობაში მოყვანა.
3. რეკომენდებულია პროგრამის დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნების ბლოკში ინტეგრირდეს საგანი „ბრიტანული კულტურა".
4. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებში ინტეგრირებული ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები და მოერგოს მათ სპეციფიკას.

ასევე წარადგინა ჯგუფის მიერ გაცემული 2 რჩევა:

1. სასურველია გადაიხედოს პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა.
2. სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართოს უცხოელი პერსონალი. აღინიშნა ისიც, რომ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები არ ცვლის მისანიჭებელი კვალიფიკაციის საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციებს უფრო რჩევის სახე აქვს, რადგან საუბარია ტერმინოლოგიის დახვეწაზე, პროექტის შემოტანაზე და ა.შ. დაწესებულება ამ საკითხებს რეაკრედიტაციის პროცესში კიდევ გადახედავს და გაითვალისწინებს, რადგან ამ მიმდინარე პროცესის ფარგლებში დაწესებულება ორიენტირებული იყო იმ ცვლილებებზე, რომლებიც საჭირო იყო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ახალი ჩარჩოს მიხედვით ფილოლოგიის ბაკალავრი გახდა ინგლისურის ფილოლოგიის ბაკალავრი. მცირედით დაკორექტირდა და დაზუსტდა პროგრამის მეორე მიზანი. რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგებს, ისინი შინაარსობრივად არ შეუცვლია დაწესებულებას, რადგან პროგრამამ შედეგების შინაარსობრივი ნაწილით გაიარა აკრედიტაცია და მიმდინარეობს აქტიურად. ამ ცვლილების ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მოხდა იმ კუთხით, რომ გაზომვადი ზმნები ჩამოყალიბდა ახლანდელ დროში, რასაც ითხოვს აღნიშნული პროცესი. სტრუქტურის თვალსაზრისითაც პროგრამაში წარმოდგენილი საგნები დალაგდა ძირითადი სფეროს სავალდებულო და თავისუფალ კომპონენტებად. ამასთან, ბოლოდროინდელი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე პროგრამას დაემატა სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი.

დავით ნატროშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის სამომავლო განვითარებას ემსახურება. წარმოდგენილი პროგრამა არის სრულფასოვანი და ექსპერტებს დადებითად აქვთ შეფასებული სწავლის შედეგების მიღწევადობა. სწორედ ამიტომ, დაწესებულების თვალსაზრისით, რეკომენდაციები რჩევების სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა მესამე და მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მესამე რეკომენდაციაში მითითებულია, რომ პროგრამის დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნების ბლოკში ინტეგრირდეს საგანი „ბრიტანული კულტურა“. უნივერსიტეტის მხრიდან არგუმენტირებულ პოზიციაში გაწერილია თუ რომელ საგნებშია ინტეგრირებული აღნიშნული საკითხი. შესაბამისად, მას აინტერესებდა, გადაიხედა თუ არა ექსპერტების მიერ მოცემული კურსები და არის თუ არა აღნიშნული საკითხი ინტეგრირებული. ხოლო მეოთხე რეკომენდაციის მიხედვით უნდა გადაიხედოს სასწავლო კურსებში ინტეგრირებული ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები და მოერგოს მათ სპეციფიკას. ამასთან, ექსპერტები თვლიან, რომ ამ საგანში გამოცდის ფორმად განისაზღვროს მცირე კვლევა/პროექტი, რათა ხელი შეეწყოს ანალიტიკური და კვლევითი უნარების განვითარებას. ამასთან დაკავშირებით აინტერესებდა უფრო დეტალური ინფორმაცია ექსპერტების მხრიდან და რამდენად იყო შესაძლებელი აღნიშნულის რჩევის სახით ფორმულირება.

აკრედიტაციის ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტები სრულად იზიარებენ იმ ლოგიკას, რომელსაც პროგრამა მიჰყვება, და წარმოდგენილი რეკომენდაციები განმავითარებელ ხასიათს ატარებს. არგუმენტირებული პოზიციის ჩამოსაყალიბებლად ექსპერტები დეტალურად გაეცნენ თითოეულ სილაბუსს, თუმცა საგანი „ბრიტანული კულტურა“ მოიცავდა მედიას, კულტურას, რელიგიას და კულტურულ ინდუსტრიებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული კურსი დამოუკიდებელი საგნის ფორმით უნდა

ჩამოყალიბდეს. რაც შეეხება მეორე საკითხს, ექსპერტებს საუბარი არ ჰქონდათ მცირე კვლევებსა ან პროექტებზე; აღინიშნებოდა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსში სტუდენტთა კომპეტენციები მოწმდებოდა ერთიდაიგივე სისტემით, მიუხედავად იმისა, იყო ეს შეფასება ჯგუფური თუ ინდივიდუალური. შესაბამისად, სწორედ ეს საკითხი გახდა რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო პრეზენტაციის ნაწილზე და შესაბამისად, ის ერთი და იგივე კრიტერიუმებით თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, თუმცა დაწესებულებამ შეიძლება თავიდან განიხილოს ეს საკითხი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან გრძელიძემ მე-3 რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ის საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამაში, სტუდენტებს გადასცემს იმ ცოდნას, რომელიც მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება მიიღოს სტუდენტმა. ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხები განაწილებულია რამდენიმე სავალდებულო საგანზე.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ ნარატივში მოცემულია ჩანაწერი „მცირე უზუსტობა, რომელიც მოყვანილია, ხელს არ უშლის პროგრამის გამართულობას“, მას აინტერესებდა რატომ არ ჩამოყალიბდა აღნიშნული რეკომენდაცია რჩევად.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციას გარკვეულწილად ექსპერტებიც ეთანხმებიან, რადგან პროგრამის გამართულობას ხელს არ უშლის. თუმცა რადგან რჩევა თავისი არსით შეიძლება არ შესრულდეს, ამიტომ ჩამოყალიბდა რეკომენდაციად.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ რეაკრედიტაციის დროს დაწესებულებას ექნება საშუალება რეფორმულირების და შესაბამისად ის ამ ნაწილსაც გაითვალისწინებს.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. ნარატივიდან იკვეთება, რომ შედეგები არის შრომის ბაზარსა და დასაქმების ხელშეწყობაზე ორიენტირებული, თუმცა მეტ თვალსაჩინოებას ითხოვენ ექსპერტები. ამასთან, რეგულაციებით არ იკრძალება, რომ რამდენიმე შედეგზე იყოს ორიენტირებული სწავლის შედეგი. შესაბამისად, მას აინტერესებდა რატომ არ ჩამოყალიბდა რჩევის სახით რეკომენდაცია.

ექსპერტმა ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ეკრძალება რამდენიმე შედეგის ჩამოყალიბება, თუმცა მათში არსებული მაღალი კომპლექსურობის გამო გამოიკვეთა შედეგების შეფასების სირთულე. მაგალითად, მესამე შედეგში მითითებულია, რომ სტუდენტი გამართულად საუბრობს და არგუმენტირებულად მსჯელობს მშობლიურ და ინგლისურ ენაზე როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციისას, რაც ქმნის კომპლექსურ და ურთიერთგადაფარვად ფორმულირებებს. მათი შეფასებით, შედეგები რომ ყოფილიყო მეტად დაკონკრეტებული, რეკომენდაციის ჩამოყალიბების საჭიროება არ წარმოიქმნებოდა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან გრძელიძემ აღნიშნა, რომ პირველი შედეგის შეფასებაში ნამდვილად არის მექანიზმები, რომლებიც გადის ამ შედეგებზე და ზომავს მათ. რაც შეეხება კვლევით და კომუნიკაციის უნარების გაერთიანებას იზიარებს დაწესებულება. თუმცა პროგრამაში დაწესებულებას მთლიანად ინტეგრირებული აქვს კვლევითი და კომუნიკაციის უნარები, რადგან ხშირად არის რეფერატებისა და პრეზენტაციების კომბინაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა საგნების გადალაგებამ გააჩინა თუ არა საჭიროება მიზნებისა და შედეგების ცვლილების.

საფაბნაბათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი არ შეცვლილა და დაემატა სახელმწიფო ენის სპეციალური კურის, რაც შედეგებში ისედაც ჩანს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ნატროშვილმა აღნიშნა, რომ 2019 წელს იქნა აკრედიტებული კურსი და იმ დროს არ ხდებოდა ჩამოყალიბება პროგრამაში წარმოდგენილი საგნების. შესაბამისად საგნების ტექნიკური გადაწყობა მოხდა და არა სავალდებულო საგნების არჩევითში გადატანა და პირიქით.
ექსპერტმა, რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ სავალდებულო საგნების მოცულობა გახდა ჯამში 190 კრედიტი, 50 - არჩევითი და თავისუფალი. სწავლის შედეგები მოდიფიკაციის საკითხში არ შეცვლილა, რადგან ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციები, რაც ასახულია სწავლის შედეგებში, ამ ნაწილსაც ფარავდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:00
დასრულების დრო: 15:03
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ პროგრამა შესაბამისობაშია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" .

4. მეოთხე საკითხი:
„ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 23 დეკემბერის №1848916 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 23 დეკემბრის N1848916 გადაწყვეტილების თანახმად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას

მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 9 დეკემბრამდე, ხოლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 9 დეკემბერი.
დოკუმენტების გაფორმების დროს, 2025 წლის 23 დეკემბრის N1848916 გადაწყვეტილების „დანართი 1“-ის მე-16 და მე-18 ნაწილებში დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მე-16 ნაწილში ნაცვლად „2025 წლის 23 დეკემბერი“-ს მითითებული უნდა იყოს - „2025 წლის 9 დეკემბერი“, ხოლო მე-18 ნაწილში ნაცვლად „2032 წლის 23 დეკემბერი“-ს მითითებული უნდა იყოს - „2032 წლის 9 დეკემბერი“. მიზანშეწონილია განახლდეს თარიღი და მიეთითოს 9 დეკემბერი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის თანახმად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი (ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის “ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №1848916, 23/12/2025 გადაწყვეტილების დანართში.
კერძოდ, დანართის მე-16 ნაწილში ნაცვლად „2025 წლის 23 დეკემბერი“-ს მიეთითოს - „2025 წლის 9 დეკემბერი“, ხოლო მე-18 ნაწილში ნაცვლად „2032 წლის 23 დეკემბერი“-ს მიეთითოს - „2032 წლის 9 დეკემბერი“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 27 თებერვლის 15:16 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე